# თბილისის შეთქმულება

  რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ მონღოლებმა ორი მემკვიდრე დასვეს ტახტზე. ლაშა გიორგის უფროსი ძე- დავით ულუ და რუსუდანის ძე- დავით ნარინი. ამით დამპყრობლები დარწმუნდნენ, რომ ქართველთა შორის ყოველთვის იქნებოდა შინაგანი უთანხმოების საფუძველი. 1247-1248 წლებში გაუქმდა საქართველოს დუმნებად დაყოფა.
  კოხტასთავს შეთქმულების ჩაშლის შემდეგ, დაახ. 1249 წელს ქართველებმა კვლავ სცადეს აჯანყება. ეს ამბავი აუღწერიათ სომეხ ისტორიკოსებს. მოლაპარაკება მოხდა მეფე დავით ულუსთან პურისჭამის დროს. ეს ამბავი მონღოლთა ჯარის უფროსის ყურამდე მივიდა და მან სასწრაფოდ დააპატიმრა შეთქმულნი, მათ შორის დავით ულუ. დაპატიმრებულები თოკებით შეუკრავთ და ასე ჰყავდათ სამი დღე. განთავისუფლებისათვის დავით ულუს მონღოლებმა ცხენები და უხომო გამოსასყიდი გამოართვეს. ასე განუხორციელებლად დამთავრდა თბილისის განზრახული აჯანყება.